ცნობის ფურცელი

№ 2089 პარასკევი, 7 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2089

ხელისმოწ. ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კნეინა ანასტასია დავითის ასული და თავადი სიმონ დავითის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველი—დედის, ხოლო მეორე—სიდედრის

ეფემია არჯევანის ასულის ავალიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზე 7 მარტს, ნაშუადღევის 1 საათსა და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება (გეიდენოვის ქუჩა, № 65, სახლი ჩილოვსკისა) 8 მარტს ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში. გამოსვენება 9 საათზე დილით კუკიის სასაფლაოზე. (2—1)

შაბათს, 8 მარტს, **უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის**

ნიკოლოოზ დავითის ძის

ორმოცზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 12 ს. გარდახდილ იქმნება პანაშვიდი. (1—1)

შაბათს, 8 მარტს, უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის

ნიკოლოოზ დავითის ძის

ორმოცზე მარტვილის მონასტერში გარდახდილ იქმნება წირვა დ პანაშვიდი. (2—2)

მელანია (ელენე) ივანეს ასული ფურცელაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის დაუვიწყარის შვილის გარდაცვალებას ქალ. ტამბოვში 20 გასულს თებერვალს

ვასილ გიორგისძის დავიდოვისას.

პანაშვიდი იქმნება 8 ამა მარტს, დილის 10 საათზე, დიდუბის ღვთის მშობლის ეკკლესიაში. (1—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: კვირაობით 10—12.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (ჟ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

სია

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 20—26 თებ. განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
37	ნინო დ. მაქარაშვილი . . .	6	—
38	თ. სარდიონ ამირაჯიბი . . .	6	—
39	დეკ. ი. ლომაური	6	—
40	ვასილ ა. თუმანიშვილი. . .	6	—
41	სოფიო ა. თუმანიშვილი. . .	6	—
42	გიორგი ქოლოშვილი	6	—
43	ალექსან. ა. თუმანიშვილი .	6	—
44	გრიგოლ ი. კემულარია. . .	6	—
45	ფარნაოზ ბ. გაბუნია	6	—
46	სამსონ ყიფიანი. . . , . . .	6	—
		60	—
	სულ მდგ. წლ. განმავლობაში.	277	—

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა. 38. (ტო.

კონცერტი

ქართულ გალობის მოყვარულთა გუნდისა პოლ. პეტრ.

ფალიაშვილის

ლოტბარობით,

რომელიც დანიშნული იყო 7 მარტს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, გადატანილ იქმნება 22 მარტს. ბილეთები, აღებული 7 მარტისთვის, გამოდგება აგრეთვე 22 მარტისათვის. (2—2)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საზღვარ-გარედ

—

საფრანგეთი. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ მუშების პარტია, განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიაში, უფრო და უფრო სტოვებს შეურიგებელ პოლიტიკის გზას და რეფორმის პარტიად ხდება. საფრანგეთში ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლებია ჟორესი და მილიერანი. მილიერანს ეხლახან გამოუცია თავის პოლიტიკურ სიტყვების კრებული და ვრცელი წინასიტყვაობა წარუმძღვარებია, სადაც ნათლად და მკაფიოდ არის გამოთქმული „რეფორმისტების“ შეხედულება და პროგრამა.

„მუშათა პარტიის მოქმედების მიზანი ის კი არ არის, რომ განახორციელონ ის საზოგადოებრივი ეკონომიური წესწყობილება, რომელიც გედისტების გამოხატულებას შეუქმნია—ასეთი მიზანი წმინდა უტოპიურია,—არამედ ის, რომ საზოგადოებრივ უსამართლობათა მოსპობითა და კაცობრიობის აღზრდით ეს ქვეყანა უფრო ადვილი საცხოვრებელი გახდეს ყველასათვის. ეჭვს გარეშეა, რომ მუშების ემანსიპაცია შესაძლებელია მხოლოდ თვით მუშებისავე საშუალებით, მათი განთავისუფლება დამოკიდებულია თვითონ მათგანვე. მაგრამ ამისათვის საჭიროა განსაზღვრული ზნეობრივ-გონებრივი განვითარება. ეხლანდელ საზოგადოებრივ პირობებში მუშას ფიზიკურად არ შეუძლიან იზრუნოს თავის განვითარებაზე: აუტანელი შრომა, სიღატაკე და უიმედობა მძიმედ აწევს მას კისერზე. ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა, რომ სახელმწიფო ენერგიულად ჩაერიოს არსებულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში, გამოიცეს ვრცელი კანონები მუშების სასარგებლოდ, იზრუნონ მათ გონებრივ და საპროფესიო განათლებაზე, უზრუნველ ჰყონ ისინი ავადმყოფობის, უბედურ შემთხვევის, მოხუცების და უსაქმოდ ყოფნის დროს, გაავრცელონ საზოგადოებრივ სოლიდარობის გრძნობა და მუშების ორგანიზაციის აუცილებლობა სინდიკატებისა და სხვა-და-სხვა გვარ კოოპერაციების დაარსებით, რომ წარმოების სფერაში მუდმივი გავლენა შეიძინონ თავიანთ არჩეულ პირების საშუალებით. მაგრამ ყველა ამის განხორციელებისათვის საჭიროა ყურადღებაში მიიღონ მიმდინარე ცხოვრების გარემოებები და შეუფერონ თავიანთი ტაქტიკა ქვეყნის პოლიტიკურ პირობებს. საფრანგეთის დემოკრატიამ უკვე შეასრულა მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მაღალ და რთულ დანიშნულებისა: დააარსა და განამტკიცა რესპუბლიკური წესწყობილება, რომელიც აუცილებელი პირობაა შემდეგ საზოგადოებრივ და ეკონომიურ რეფორმისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ კარგად მოიხმაროს ვინმემ ეს იარაღი, იგი ზურგს არ უნდა აქცევდეს მთელ რესპუბლიკურ პარტიის ცხოვრებას და მის ღონისძიებათა სისტემატიურ კრიტიკით არ უნდა ხელმძღვანელობდეს. მუშების პარტიამ პირდაპირი მონაწილეობა უნდა მიიღოს არსებულ ბრძოლაში, ყველგან და ყველაფერში მისცეს თავისი ხმა, თანახმად საკუთარ იდეალისა და რესპუბლიკის დემოკრატიის ტრადიციისა. მუშების პარტია გულ-გრილად ვერ მოეკიდება ვერც სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობას, ვერც ეროვნულ მრეწველობას, ვერც იმას, თუ როგორ უვლის საფრანგეთი თავისს ახალშენებს, ვერც სამხედრო ძალის მდგომარეობას, ვერც საერთაშორისო ხელშეკრულებათ და კავშირებს. მუშების პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს ლეგალურ რეფორმებისა და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების მეთოდით; დემოკრატიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობაშიაც. მუშების პარტია დიდი ხანია ჰგზავნის წარმომადგენლებს პარლამენტსა და მუნიციპალიტეტებში; ამისათვის იგი ხშირად შეთანხმებულა და შეკავშირებულა ახლო მდგარ პარტიებთან; და რატომ უნდა სთქვას უარი ამ მეთოდზე სწორედ ამ დროს, როცა იგი ნაყოფიერი იქნება, როცა ერთს ან რამდენსამე წარმომადგენელს მუშებისას შემთხვევა ეძლევა ამა თუ იმ სამინისტროს გაუძღვეს. ასეთი ულოღიკობა ძვირად დაუჯდებოდა დემოკრატიას და სწორედ ამიტომ „რეფორმისტების პარტია“ თავის დღეში უარს არ იტყვის არც ერთ იმ მოვალეობის ასრულებაზე, რომელსაც მას ცხოვრება ადებს“.

ფრანგ-რეფორმისტებს დიდი გავლენა აქვთ ეხლა დემოკრატიულ პარტიაში და პარლამენტში, რადგან ენერგიულ და ცოცხალ მონაწილეობას იღებენ ყოველ დღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პარტიის საქმე იყო, რომ პარლამენტმა ამ მოკლე დროში პრინციპიალურად მიიღო აზრი სპირტის და ნავთის გაწმენდის სახელმწიფო მონოპოლიისა, გადადო ერთი მილიონი ქვა-ნახშირის მოხუც მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოუმატა ჯამაგირი სახალხო სკოლების უმცროს მასწავლებლებს და სხვა.

ბალკანეთი. გერმანულ გაზეთის „ბერლინერ ტაგბლატ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისს განზრახვა აქვს გამოვიდეს ეგრედ წოდებულ „სახელმწიფოების კონცერტი“-დან: ინგლისის მთავრობას ვერ აკმაყოფილებს ავსტრია-რუსეთის მიერ წარმოდგენილი პროექტი რეფორმებისა და გადაწყვეტილი აქვს ამ საქმეში დამოუკიდებლად იმოქმედოს.

◆ „ნოიე ფრაიე პრესე“-ს ლონდონელი კორესპონდენტი ირწმუნება, რომ მაკედონელები დიდათ მომზადებული არიან აჯანყებისა და სათარეშო ომისათვის. „დეილი ნიუს“-ის ბალკანელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ 50 ათასი მაკედონელია შეიარაღებული და მზად არიან აჯანყებისათვის, თუ სერიოზული რეფორმები არ იქნა შემოღებული.

ახალი ამბავი

—

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 7 მარტს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ბ-ნი ისააკოვი წაიკითხავს მოხსენებას ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს, ბ. ვრასსკის, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, მოხსენება წარუდგენია იუსტიციის სამინისტროსათვის იმის შესახებ, რომ პალატაში დიდძალი საქმე გროვდება, რომელთა გადაწყვეტა ძალიან გვიანდება. ბ. ვრასსკი საჭიროდ სთვლის დაჩქარებულ იქმნას დონის როსტოვში სამოსამართლო პალატის გახსნა, რომელსაც მიეწერება ტფ. სამოსამართლო პალატის ზოგიერთი საოლქო სასამართლოები და ამ რიგად შემცირდება ტფ. პალატის ოლქის რაიონიო.

◆ იმერეთში ზოგიერთ სოფლის მეურნეთ განუზრახავთ კახურ საუკეთესო ჯიშის ვაზის გაშენება. ამ აზრით სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის მიუმართავთ და უთხოვნიათ დახმარება კახეთიდან ნერგების დაბარების საქმეში. საზოგადოების საბჭოს 3000 ნერგი ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვისაც დაუბარებია. ამ ვაზს გააშენებენ აქ, ტფილისში, სკოლასთან და თავ. ერისთავის მამულში კასპს.

◆ როგორც გადმოგვცეს, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროს ექიმად, გარდაცვალებულის პავლოვსკის მაგიერ, ინიშნება ექ. გურკო.

◆ ოთხშაბათს, 5 მარტს, საგუბერნიო ექიმის, ტ. ს. ქიქოძის, თავმჯდომარეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება ჰქონდათ ტფილისის მეაფთიაქეთ, რომელთაც უნდა განეხილათ საექიმო დეპარტამენტის წინადადება იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას ერთგვარი ნიხრი იმ ახალ წამლობისა და სააფთიაქო მასალისა, რომელთა ფასები არ არის შეტანილი ახლანდელს ნიხრში. კრებაზე არჩეულ იქმნა კომისია და მას დაევალა ამ ნიხრის პროექტის შედგენა.

✦ გუშინ, 6 მარტს, ტფილისის საგუბერნიო საზეითლო ნაწილის ინსპექტორმა დაუგზავნა სათანადო დაწესებულებებს უმაღლეს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესები საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ.

✦ ტფილისში მშობიარე ქალთა დასაწვენად თითქმის მარტო ერთად ერთი ადგილია—საბებიო ინსტიტუტი. ძალიან ხშირად ინსტიტუტი ისე სავსეა, რომ ახლად მიმსვლელთ უარს ეუბნებიან. ამის გამო ერთ ხმოსანს გამგეობაში მოხსენება შეუტანია, გამართოს ქალაქმა სხვა-და-სხვა უბანში რამდენიმე თავშესაფარი მშობიარეთათვის.

✦ ვერაფერი ეშველა ხორცის გაჭრობის მოწეს-რიგებას ტფილისში. ყასბები არ უგდებენ ყურს არც გამგეობას, არც იმ კომისიას, რომელსაც ნიხრის საქმე აბარია, და იქცევიან ისე, როგორც თვითონ ეჭაშნიკებათ. დადგენილია გაიყიდოს ხორცი ხარისხებად და ნიხრზე, მაგრამ ყასბები არც ერთს ასრულებენ და არც მეორეს. ეხლა ნიხრის დამწესებელი კომისია სთხოვს გამგეობას, გააძლიეროს ხორცის ვაჭრობის კონტროლი. კომისიას საჭიროდ მიაჩნია დუქნებში იქონიონ განსაკუთრებული წიგნაკები, სადაც გამგეობის აგენტები, წევრები და ხმოსნები, დუქანში შესვლის დროს, თავიანთ შენიშვნებს ჩასწერენ, თუ რამ უწესოება ჰნახეს. კომისია ყურადღებას აქცევს აგრეთვე იმას, რომ ყასბები ხორცს ბევრ ძვალს აყოლებენ, უმთავრესად ხერხემლის ნაჭრებს. იმის აზრით, საჭიროა ხერხემლის ძვალი საყასბოშივე, საქონლის დაკვლის დროს, ააცალონ ხორცს და გადააგდონ. კომისია ხორცის ვაჭრობის განსაწესრიგებლად სხვა საშუალებებსაც თხოულობს.

✦ თავად-აზნაურთა კრებები დანიშნულია: სიღნაღისა—18 მარტისათვის, დუშეთისა—22 მარტისათვის და ტფილისისა, როგორცა ვწერდით—15 მარტისათვის.

✦ 9 მარტისათვის დანიშნულია კრება დურგალთა ამხანაგობის „შრომისა.“ კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს წარსულის წლის ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა ამა მიმდინარე წლისა და სხვ. უნდა აარჩიონ აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარე, წევრები, მათი კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრნი. სხდომა დაიწყება დილის 11 საათზე, ამხანაგობის სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

✦ გუშინ, 6 მარტს, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა სთხოვა ქალაქის გამგეობას წელს სააღდგომოდ საჩუქარი დაენიშნოთ სამეურნეო პოლიციის მოსამსახურეებს, რადგან იმათ ეს 6—7 წელიწადია არავითარი სადღესასწაულო საჩუქარი არ მიუღიათ, თუმცა გამგეობის სხვა მოხელენი იღებენ.

✦ 15 აპრილს 30 წელიწადი სრულდება თურმე, რაც ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პ. გ. მელიქიშვილი სამეცნიერო ასპარესზე მოღვაწეობს. მელიქიშვილი, როგორც უთუოდ მკითხველებმა უწყიან, ქიმიკოსია.

✦ 5 მარტს ნუხის მაზრის სოფელ ბაშგეინუკში საერობო დარაჯს ბრძოლის შემდეგ შეუპყრია, როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ ყაჩაღთა ბრბოს მეთაური სადიხ-დადაშ-ოღლი და იმისი ამხანაგი ტუტა კამათხანოვი. პირველი რამდენსამე ადგილას დაუჭრიათ. ამ ორ ყაჩაღთან ერთად დაუპატიმრებიათ სოფ. გეინუკის ხუთი მცხოვრები, რომელნიც ყაჩაღებსა ჰმალავდნენ თურმე.

✦ კავკასიის მუზეუმის დირექტორად ნამყოფის ახლად გარდაცვალებულ გ. ი. რადდეს გვამი გუშინ ტფილისიდან ბორჯომს წაასვენეს ლიკანში დასაკრძალავად.

✦ დღეიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია შეუდგება საქმეების გარჩევას დუშეთში. სესსია ამ ქალაქში 11 მარტამდე დარჩება.

✦ როგორც ვუწყით, ტფილისის ქალაქის გამგეობასა და გაბრიელ თამამშევის მემკვიდრეთა შორის დავაა ატეხილი იმ ადგილის გამო, რომელიც თამამშევებს მიუთვისებიათ. ქალაქის იურისკონსულტს ამ საქმის გამო საბუთები განუხილავს. ყოფილ მოურავის იზმაილოვის მოხსენებაში ნაჩვენებია თურმე, რომ თამამშევებს მიუსაკუთრებიათ 170,22 ოთხ. კუთ. საჟენი, ხოლო მზომელის თანაშემწის კაჩაროვსკის მიერ შედგენილ გეგმიდან-კი სჩანს, რომ იმათ 256,5 ოთხ. კუთ. საჟენი აქვთ. ამის გამო იურისკონსულტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ინჟენერსა და ხუროთმოძღვარს მიანდოს დასახელებულ მიწის რაოდენობის გამორკვევა. იურისკონსულტმა სთხოვა აგრეთვე, დაწამდვილებით გამოირკვიოს ვინაობა იმათი, ვინც თამამშევის მემკვიდრეებად ითვლებიან, რომ საჩივარი აღიძრას.

✦ მთავარმართებლის მინდობილებით იმისმა კანცელარიამ გუშინ მოსწერა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, უსასყიდლოდ გაუგზავნოს თავისი გამოცემანი პეტერბურგში ახლად დაარსებულ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის წიგნთსაცავს. საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა გაუგზავნოს როგორც გაზეთი, ისე სხვა გამოცემანი.

✦ გუშინ, 6 მარტს, ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი წავიდა სამუშაოდ თავ. ზ. ერისთავის მიერ დათმობილ მამულში.

✦ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველად დანიშნულს ბ. ზედენანს ქუთაისიდან ამ თვის დამლევს მოელიან.

✦ ტფ. პოლიცმეისტერის შეკითხვის პასუხად ტფ. ქალაქის გამგეობამ მისწერა, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის შენობის აგებას 15 მარტიდან შეუდგებითო.

✦ ტფილისის ვაჭრების გამგეობამ გადასწყვიტა ვაჭართა მოურავად ნამყოფის ლაგიდოვის 25 წლის სამსახურის იუბილეი 13 აპრილს იდღესასწაულოს.

✦ პოლაკის ქარხანას ტფილისში თავის თავზე მიუღია ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის ასაგებ შენობის საჭირო რკინის მასალის დამზადება და ტფილისში მოტანა. ეს დავალება 10 მარტისათვის უნდა აესრულებინა პოლაკს, მაგრამ ახლა განუცხადებია გამგეობისათვის, ვერ ავასრულებ დაპირებას, რადგან სამხრეთ რუსეთში რკინის გზების მუშათა მოძრაობის გამო მატარებლები ნაკლებად დადიან და გამოწერილი საქონელი დღესაც არ მომსვლიაო. გამგეობას განუცხადებია ამ მიზეზს პატივდებაში ვერ მივიღებთო და 10 მარტიდან ქალაქი დარღვეულად ჩასთვლის ხელშეკრულობასაო.

✦ განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა სომეხთა ვერის სასაფლაო და წარუდგინა გუბერნატორს თავისი მოხსენება გეგმით და საბუთებით იმ ადგილების შესახებ, რომელთა გამო დავა აუტეხა სომეხთა სამღვდელოებას ბ. სვიმონოვთან.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, გუშინ-წინ ბოროტ განმზრახველს გაუტეხია კარები სტეფანე ლეონოვის სამჭედლოსი და წაუღია სხვა-და-სხვა ნივთები. პოლიციამ ქურდი უკვე დააპატიმრა, რომელიც აღმოჩნდა ბორჩალოს მაზრის მცხოვრები არტემ მიქაევი. მიქაევს მოპარული ნივთები ჩამოერთვა და გადაეცა პატრონს, თითონ პასუხის გებაში მისცეს.

✦ ხვალ, 8 მარტს, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: თავ. კონსტანტინე დადიანისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება, პავლე იობაძისა—ფიც ქვეშ ცრუ მოწმობა, საათ ბიჭვაძისა—კაცის მოკვლა, და სხვა.

✦ თებერვლის განმავლობაში ტფილისის საყასბოში დაუკლავთ 3646 სული მსხვილ ფეხა საქონელი, 573 ხბო, 1153 ღორი და 6071 ცხვარი. სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო მოუსპიათ 1 ხარისა და 2 ხბოს ხორცი.

რუსეთის ქრონიკა

✦ ყველა უნივერსიტეტში დიდ-ძალი გაჭირვებული სტუდენტობაა, რომელთაც ყოველ წელიწადს სწავლის ფულის შეტანის დროს არ იციან, რა ჰქნან. ბევრს ითხოვენ ხოლმე. სხვათა შორის, ხარკოვის უნივერსიტეტიდანაც აპირებენ ეხლა რამდენისამე სტუდენტის დათხოვნას. ამავე დროს ადგილობრივ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას 1,170 მოვალე ჰყავს, რომელთაც საზოგადოებისა 100 ათას მანეთამდე ჰმართებთ.

✦ მთავრობას დაუმტკიცებია პროექტი იმ სახალხო კითხვებისა, რომელიც სასოფლო-მეურნეობას ეხება. კითხვების მოწყობა შეეძლებათ იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელნიც მიწათ-მოქმედების სამინისტროს ექვემდებარებიან, და აგრეთვე კერძო კაცთ.

✦ მოსკოვს ჩამოსულა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მოქალაქე არტურ ბეტტელი, რომელსაც აზრადა აქვს შეეკრას პირობით რუსეთის შინა-მრეწველთ მათ ნაწარმოებთა ამერიკაში გასავრცელებლად.

✦ დაიბეჭდა და გამოვიდა ანგარიში მოსკოვის საგუბერნიო ერობის შინა-მრეწველობის მუზეუმისა. მუზეუმს წარსულ 1902 წლის განმავლობაში თურმე დიდი შემოსავალი ჰქონია, რომელიც 211 ათას მანეთს უდრის.

✦ მიწათ მოქმედების სამინისტროს გამოუცია მშვენიერი ალბომი წარსულ წლის შინა-მრეწველობის გამოფენისა. ეს ალბომები დაეგზავნება ყველა სასწავლებელს მოსწავლეთათვის საჩვენებლად და რუსეთის შინა-მრეწველობის გასაცნობათ.

✦ შარშანდელ სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენასთან ერთად შინა-მრეწველთა კრებაც მოხდა. ამ კრების ანგარიში ეხლა ორ დიდ ტომად გამოუციათ, ერთში მოთავსებულია წევრთა მოხსენება, ხოლო მეორეში—კრების დადგენილებანი.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროში ამ ახლო მომავალში შეადგენენ კომიტეტს, რომელმაც სისრულეში უნდა მოიყვანოს შარშანდელ შინა-მრეწველთა კრების დადგენილებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ დადგენილებათა ჩქარა აღსრულებას: შეღავათიანის სესხის მოპოვებას, საუკეთესოდ მოწყობილის საწყობების გამართვას, საზღვარ-გარედ მუშტრის მოპოვებას, რკინის გზებზე საზიდ ფასის შემცირებას და სხვას.

პრესსა

საყურადღებო ცნობებია მოყვანილი ჟურნალ „ნაუჩნ. ობ.“-ს უკანასკნელ ნომერში კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ საფრანგეთის გლეხთა შორის. ეს მოძრაობა განვითარდა უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში 1884 წ. შემდეგ, როდესაც გამოიცა კანონი „მუშათა სინდიკატების“ შესახებ. პირველად დაარსდა მიწათ-მომქმედთა ამხანაგობანი თესლეულობის, მიწის სასუქის და მანქანების შესაძენად, მერე ამხანაგობათ გაიხადეს თავის საგნად სამეურნეო ცოდნის შეძენაც, დაიარსეს კურსები და გამოსაცდელი სადგურები. შემდეგ აღორძინდა სხვა და სხვა საწარმოებელი და სავაჭრო ამხანაგობა: მერძევეთა, მეყველეთა, მეღვინეთა და სპირ-

---

ფელეტონი

წერილები

I

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, უთქვამთ ჩვენს ძველებს და ახლებსაც არას გვაწყენს, თუ მუდამ მხედველობაში გვექნება ეს ბრძნული თქმულება. დიახ! მოყვრობას იმითი დაუმტკიცებ კაცს, თუ პირში ამხელ მას თავის ნაკლულევანებას, მიუთითებ იმ შეცდომებზე, რომლის გასწორებაც მას სჭირია. პირში ქება, ზურგთ უკან კი ორმოს გათხრა ქალაჩუნების საქმეა. მაგრამ არც ის ვარგა, თუ გადააჭარბებ, რწყილს აქლემს აშობინებ და „მოყვარეს პირში უძრახავ“ მისთანა საქმეს, რომლის მომქმედი ის სრულიად არ არის. გადაჭარბება, როგორც ყველგან, ისე აქაც არ ვარგა.

ეს ფიქრები მომივიდა, როდესაც წავიკითხე ბ. სიტყვას შენიშვნა „ცნობ. ფურც.“ № 2064-ში ქართველ სტუდენტობის შესახებ. „№-ში ასამდე ქართველი სტუდენტია“, მწერს ჩემი კარგი ნაცნობიო, ამბობს ბ. სიტყვა, „მაგრამ მათში ორი და სამი არ მოიპოვება მშრომელი და სერიოზული ადამიანი... თითქმის სრულებით არაფერს აკეთებენ და არა ჰკითხულობენ. ზოგიერთების ბინაზე ერთს წიგნს და უბრალო ქაღალდს ვერ ნახავ. მთელს დროს კარტის და არიოლ რეშკას თამაშში, არშიყობაში და ქეიფში ატარებენ“-ო...

მე მსურს ორიოდე სიტყვით ჩემი შეხედულობა გამოვთქვა საერთოდ რუსეთის სტუდენტობაზე და კერძოდ ქართველებზე, რადგანაც ზემოდ მოყვანილი სიტყვები, ცოტა არ იყოს, გადამეტებულად მიმაჩნია.

რა მომზადებით და რა მიზნით მიდის დღეს რუსეთის საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული ახალგაზდა უმაღლეს სასწავლებელში? რვა წლიდან დაწყებული დაახლოვებით ოც წლამდე ჩვენ ახალგაზდას, მოგეცათ ღვთის წყალობა, ბლომად აყლაპებენ (ანელებინებენ თუ არა, ეს ალლაჰმა უწყის) სხვა-და-სხვა ყოვლად გამოუსადეგარ აზებს, რომლებსაც რიხიანად „მეცნიერულ საგნებს“ ეძახიან. ეს არის მთელი მისი მომზადება ცხოვრებისათვის! ახლა მიბრძანეთ, რა მომზადება უნდა მოსთხოვო ცხოვრებაში მას, რომლის გონებრივი განვითარება დამოკიდებულია მხოლოდ საგნების ზეპირობაზე...

ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში აღზრდილი ახალგაზდა გულის ძგერით მოელის იმ დროს, როდესაც თავს დააღწევს სასწავლებელს და ცხოვრებაში გამოვა, ან უმაღლეს სასწავლებელში შესვლას ეღირსება. რა ტკბილი იმედებით გატაცებული მიილტვის იქით! აი ეღირსა კიდეც, შევიდა უმაღლესს სასწავლებელში და... დაიბნა. ის ჩავარდა სრულიად უცნობ ატმოსფერაში და ველარ გამორკვეულა, გზა ველარ გაუგნია. ის თავისუფლადა გრძნობს თავს, მაგრამ არ იცის, როგორ ისარგებლოს ამ თავისუფლებით. მისთვის ეს თავისუფლებაც და ეს ცხოვრებაც სრულიად უცნობია და... დაეწაფება მთელის თავის სიცოცხლით სავსე ბუნებით ცხოვრებას. ის სცდილობს, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება გამოჰგლიჯოს ცხოვრებას. როგორც საპყრობილიდან ახლად გამოშვებული კაცი ვერა ძღება სუფთა ჰაერით და ბუნების ცქერით, ისე ეს ახალგაზდა ვერა ძღება თავისუფლებით, სცდილობს ყოველგვარ გართობას, ქეიფს, რადგანაც ეს მისთვის ახალია და მეტად გემრიელად ეჩვენება. ცხოვრებისთვის მოუმზადებელს ახალი ტალღა იტაცებს და მიაქანებს, საითაც უნდა, როგორც სუბუქ ნივთს.

ჰო, და ჩვენც მაგას მოგახსენებთ, მეტყვის მკითხველი; შეხვალთ თუ არა უმაღლეს სასწავლებელში, ქეიფის მეტს არას აკეთებთო. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, საყვარელო მკითხველო, ნუ აჩქარდებით. ეს არის პირველი გატაცება და ვინც ამის მხილველი იქნება, უეჭველად დაეთანხმება ბ. სიტყვას ნაცნობს. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ეს გატაცება ბოლომდის შერჩეს და საქმეც იმაშია, ვინ გადარჩება მას მშვიდობით. უმრავლესობა ადრე თუ გვიან იგრძნობს ხოლმე, თუ რა საშიშ გზას დაადგა და ცდილობს თავის დახწევას. სუსტნი ვეღარ აღწევენ თავს და ბოლომდის ისე რჩებიან, ძლიერნი კი თავს იმაგრებენ და სხვა გზას, გზას შრომისას ადგებიან; ეწერებიან: სხვა-და-სხვა წრეებში, საზოგადოებებში, ან კიდევ ცალკე მაცადინობენ. ახლა მათი ცოცხალი ბუნება და ძლიერი ენერგია სხვა მხარისკენ იწევს. მას აქვს თავისუფლება წიგნების კითხვისა, ცხოვრების მიმდინარეობის თვალ-ყურის დევნებისა. ესეც მისთვის ახალი ხილია, და ახლა მეტად გემრიელად ეჩვენება. იგი შეძლებისდაგვარად ეძლევა მეცადინეობას, მხოლოდ მისი ახალგაზდა ბუნება ხანდახან კიდევ იწევს გართობა და ქეიფისაკენ და ისიც უარს არ ეუბნება თავის მოთხოვნილებას.

და ამაში ვერც ვერავინ გაამტყუნებს, რადგან ის ადამიანია და ადამიანს კი მრავალგვარი მოთხოვნილება აქვს და რამდენადაც იგი განათლებულია, იმდენი მოთხოვნილებაც მეტი აქვს. რათ უნდა გვყავდეს ჩვენ სტუდენტი წარმოდგენილი რაღაც იდეალურ, არა ქვეყნიურ არსებად? განა კაცი სტუდენტობაში ადამიანის მოთხოვნილებებს ჰკარგავს და ჰაეროვან არსებად ხდება? თუ ეს ასე არ არის, მაშასადამე, მას შრომის მოთხოვნილების გარდა, დასვენების მოთხოვნილებაც აქვს, ხალხში გარევისაც და სხვა. მაგრამ აქ საქმე გადაჭარბებაზეა და ორიოდე სიტყვა ამის შესახებაც.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სტუდენტი იდეალური არსება არ არის, არამედ ისეთივე ღირსებით და ნაკლულევანებით შემკული ადამიანია, როგორც სხვა ყველა, მაშინ ბ. სიტყვას ნაცნობის მიერ გამოთქმული აზრი ქართველ სტუდენტობის შესახებ გადაჭარბებული მგონია. მის მიერ და-

ეროვნული

ტის გამოსახდელი ამხანაგობანი. გაჩნდა აგრეთვე ურთიერთი დაზღვევა, დამხმარებელი კასსები, კანტორები მუშების და სამუშაოს მოსაპოვებლად, დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ბანკებიც.

1898 წელს საფრანგეთში იყო სულ 175 სასოფლო-სამეურნეო საწარმოებელი ამხანაგობა და 623 სამიწათ-მოქმედო კასსა. მიწათ-მოქმედნი ერთდებიან ერთს სინდიკატში. ამხანაგობათა და სინდიკატების მიზანია მსხვილი კაპიტალის სარგებლობა შეუნარჩუნოს კაპიტალისტურად სუსტ დამოუკიდებელ მიწათ-მომქმედებს.

ხშირად მოხდება, რომ გლეხები მომზადებულ ამხანაგობის დაარსებით შეძენილ მოგებიდან შეადგენენ პატარა თანხას, მერე შეადგენენ საწარმოებელ ამხანაგობას სავაჭრო კანტორით; საკრედიტო და პროფესიონალური ამხანაგობანი ძლიერ უწყობენ ხელს მეურნეობის გაუმჯობესებას და ფრანგის გლეხისათვის შესაძლებელი ჰხდება ის სარგებლობა, რომელსაც იძლევა დიდი კაპიტალი და მსხვილი წარმოება.

საინტერესოა, თუ როგორ უყურებენ საფრანგეთის პოლიტიკური პარტიები ამ კოოპერატიულ მოძრაობას. კონსერვატორები, ლიბერალები, სოციალისტები, ყველანი ცდილობენ იქონიონ გავლენა აგრარიულ პოლიტიკაზე.

სოციალისტების აგრარიული „გარდამავალი პროგრამმა“ აღიარებს კოოპერატიულ მოძრაობის მომმზადებელ (აღმზრდელ) მნიშვნელობას. მოხდება, რომ სოციალისტები ეწინააღმდეგებიან სამიწათ-მოქმედო სინდიკატებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიანთ, რათა გავლენა არ იქონიოს მათზე მსხვილმა მიწის-მფლობელობამ. მსხვილ მემამულეთა მონაწილეობა ამხანაგობებში ძლიერ სუსტია, 5—6 პროც. ორთა შუა. ჟორესმა სთქვა: სამიწათ-მოქმედო სინდიკატები ჩვენ (სოციალისტებს) ყოველთვის გამოგვადგებიან და ამიტომ არაფერი არა გვაქვს მათ წინააღმდეგო. თუმცა ასეთის იმედით უყურებს ეს დეპუტატი სინდიკატებს, მაგრამ ცხარე წინააღმდეგობა გაუწია მელინის კანონს, რომელიც თხოულობდა, რომ სასოფლო დამზღვევ ამხანაგობათ სუბსიდიები მისცემოდა. ჟორესი წინააღმდეგი იყო ამ კანონისა, რადგან მისის შემწეობით გაძლიერდებოდა მთავრობის და მსხვილის მიწის მფლობელობის გავლენა სინდიკატებზე. ამგვარადვე ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებს თავის პროგრამაში შეაქვთ სამიწათ-მოქმედო ამხანაგობანი, მაგრამ ისინი თავ-გამოდებით ებრძვიან იმ ამხანაგობებს, სადაც გატარებულია კოლექტივური ტენდენციები.

თვითონ მთავრობა ბევრს არაფერს აკეთებს საფრანგეთის გლეხის სასარგებლოდ; თუ რამ გააკეთა, ეს არის მხოლოდ ის, რომ მეტს თავისუფლებას და თვით-მოქმედებას ანიჭებს გლეხობას.

თეატრი

ოთხშაბათს, 5 მარტს, ქართველმა და სომეხმა არტისტებმა ქართულ-სომხური წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს ქართულად დ. ერისთავის კომედია „გემრიელი ლუკმა“ და ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“, ხოლო სომხურად ვოდევ. „თაგვის ბრალია“. ბევრი აცინეს საზოგადოება ქ-ნთ ხაფვაროვ-აბაშიძისამ, ჩერქეზიშვილისამ, ტასო აბაშიძემ, მელიქოვისამ, ბ-ნთ აბაშიძემ, მესხმა და სხვ. არა უშავდა-რა სცენის მოყვარეს ჩოლ—შვილსაც. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

ვ. ვ. ფალიაშვილის ხორის კონცერტი, რომელიც დღესათვის იყო დანიშნული საარტისტო საზოგადოების დარბაზში, გადაუდვიათ 22 მარტისათვის.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 20 მარტს ნორვეგიელთა შესანიშნავ დრამატურგს ჰენრიხ იბსენს 75 წლისთავი უსრულდება. როგორც გვიგეთ, ამ დღეს ქართულ თეატრში საგანგებო წარმოდგენა გაიმართება. ჰფიქრობენ იბსენის პიესის „ნორას“ წარმოდგენას. სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ნ. ჩხეიძე.

დაბა-სოფლები

სოფ. ბალთა (ოსეთი). სოფელი ბალთა და იმისი მთა-ბარი ეკუთვნის მებატონეთ დუდაროვებს. ამ სოფელში სცხოვრობს დროებით ოცდა ათი კომლი მთიელი ქართველი, რომელნიც სამშობლოდან მებატონის შეუბრალებლობას გამოჰქცევიან. მაგრამ ნათქვამია: „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“, სწორედ ამ საბრალოებზე გამართლდა. უპირველეს ყოვლისა ეს ქართველნი შინ, სამშობლოშიაც იხდიან გადასახადს. ამას გარდა მებატონე დუდაროვს აძლევენ წლიწადში თხუთმეტს მანეთს; კანცელარიასა და მამასახლისს წლიწადში თხუთმეტ მანეთს, წლიწადში სამჯერ, ე. ი. შობას, აღდგომას და გიორგობას ძღვენი უნდა მიართვან მებატონეს დუდაროვს, კომლზე თითო ქათამი, თითო ბოთლი არაყი და სამი ხაჭაპური. საჟენ შეშის ბაჟი ყოველ თითო საჟენის მოჭრაზე ხუთი მანეთი; ყოველ თითო ურმის მოჭრის ბაჟი ერთი მანეთი. ღამის ყარაულსაც ცალკე აძლევენ ქირას. სახნავ-სათიბის დასაქირავებლად მიდიან 20—30 ვერსზე. დესეტინაში ერთის მოხვნისა ანუ მოთიბვის ვულისთვის აძლევენ 5—10 მანეთამდე და სხვა წვრიმალი ხარჯი კიდევ სხვაა.

ამნაირ წვა-დაგვით ცხოვრებაში მყოფ ქართველებს ქისტებიც არ აძლევენ მოსვენებას. იქვე ახლო, პირდაპირ წყალ-გაღმა, მცხოვრებ ქისტები არაფერს არჩევენ. ეხლა ამ ბედით დაჩაგრულთ ქისტიც დაუნიშნეს მამასახლისად. ამ ქისტ-მამასახლისთან დღე-ღამე განუწყვეტლად დაიარებიან ქისტები; დღე დამაზად ათვალიერებენ გზებს, სადან რა მოჰპარონ ქართველებს, ხოლო ღამე ნავარდობენ.

ბალთაში ყივანა-ხველამ და წუტკვილამ იჩინა თავი.

ქართველი ოსებში

სასამართლო

გედევანიშვილისა და სტურუას მოკვლა მატარებლის ვაგონში *)

ამ რიგად სამ თებერვალს სასამართლოს წინაშე წარსდგა სამი ბრალდებული: კოლომინი—26 წლისა, მაღალ-მაღალი და გამხდარი კაცი, ჩერნიკოვი—24 წლისა, ჭდუქიანი, და ლიუბიმოვი—18 წლის ახალგაზრდა, მალაკანი. სასამართლოშიაც, როგორც გამოძიების დროს, სამივენი გამოტყდნენ.

კოლომინმა დიდხანს ილაპარაკა და, სხვათა შორის, განაცხადა შემდეგი: ეს რამდენიმე ხანია განვიზრახე გამდიდრება; მინდოდა გამეძარცვა ვინმე და ისე შემეძინა ქონება. ჩემი აზრი ამხანაგებს გავუზიარე და იმათაც მოიწონეს. გადავწყვიტე გამეძარცვა შეძლებული ვინმე მატარებელში. თუმანიანცი მაშინ მხედველობაში არა გვყავდა, არც-კი ვიცოდით, ვინ იყო. ვიყიდეთ სამი რევოლვერი, სამი ხანჯალი და ბებუთი, ჩავიცვით კარგი ტანისამოსი, რომ საეჭვოდ არავის ჩავეთვალნეთ; ავიღეთ კუპეს ბილეთი და გავუდექით გზას. სტურუასა და გედევანიშვილის მოკვლა არა გვქონდა განზრახული. გზაში კონდუქტორს სტურუას მოვსთხოვე გასაღები, ამასთან ვუთხარი წასულიყო გასათბობ ოთახში, სადაც მინდოდა ჩამეკეტნა. კონდუქტორმა უარი მითხრა, დაიყვირა და რევოლვერის წართმევა დამიპირა. როდესაც დავატყე, რომ ჩემზე ღონიერი იყო და მჯობნიდა, ბებუთი დავეცი თავში. კონდუქტორი იატაკზე დაეცა. მაშინ შევვარდი ჩვენს კუპეში და დავიძახე: „რა ვქენი, მგონი, კონდუქტორი მოვკალი მეთქი“. სამივენი გამოვცვივდით და ვნახეთ მოკლულის გვამი. ტანისამოსი გავჩხრიკეთ, ავაცალეთ გასაღებები, ხოლო გვამი ვაგონიდან გადავაგდეთ. შემდეგ გასაღებით გავაღეთ კუპეს კარები, შევედით, გედევანიშვილი მძინარე დავხვდა. ავინდოდა ხანჯლებით და რევოლვერით შეგვეშინებინა, ფული წაგვერთმია და შემდეგ შეგვეკრა თოკით, რომელიც თანა გვქონდა. მაგრამ გედევანიშვილმა, როდესაც გამოიღვიძა, ყვირილი დაიწყო, ხანჯალს ხელი სტაცა წასართმევად და ცოტად დამჭრა კიდეც. ამ დროს მეზობელ კუპედან ხმაურობა შემოესმა, კარი გააღო და ერთმა ქერანგა ქალმა გამოიხედა. ჩვენ რევოლვერი მივუშვირეთ და უცნობმა ხელად კარები მოიკეტა. შემდეგ ვიდამაც ბებუთი დაჰკრა გედევანიშვილს, რომელიც წაიქცა და ხრიალს მოჰყვა. გავჩხრიკეთ, ავაცალეთ ქისა, გასაღებები, წიგნაკი და სხვა და გამოვცვივდით. ჩერნიკოვს უნდოდა გაქანებულ მატარებლიდან გადამხტარიყო, მაგრამ მე დავუშალე, მოვატრიალე ტორმოზის სახელი, მატარებელი გაჩერდა, სამივენი გადავხტით და სიბნელეში გორებისაკენ წავედით. კარგა მანძილი გავიარეთ, ერთ ქვასთან მივწექით და დავიძინეთ. გათენებისას გვინდოდა გზა განვეგრძო, მაგრამ ჩერნიკოვსა და ლიუბიმოვს დაღლილობისა, შიმშილისა და წყურვილისაგან სიარული აღარ შეეძლოთ. მე წავედი პურის საშოვნელად, მაგრამ უნაყოფოდ ვიარე. იმედ-დაკარგული, ქალაქისაკენ გავემართე, მაგრამ დარაჯებმა დამიჭირეს. დიდ ხანს უარზე ვიყავი, არ ვტყდებოდი: სიმართლე აღვიარე მხოლოდ მაშინ, როდესაც გავიგე ამხანაგების შეპყრობა და გამოტეხა.

მეორე ბრალდებულმა, ჩერნიკოვმა, თავის ბიოგრაფიიდან დაიწყო. მამა ჩემსავით ალკოჰოლიკი იყო; რვა თვისა ვიყავ, როდესაც მომიკვდა და დავობლდი. პატარობითვე მივეჩვიე მაგარ სასმელებს. დავლიეთ მკვლელობის დღესაც-კი, რადგან თან კონიაკი გვქონდა. მკვლელობის შესახებ ამ ბრალდებულს ახალი არა უთქვამს-რა. ბევრი ილაპარაკა იმის შესახებ, ლიუბიმოვთან ერთად როგორ იხეტიალა გორებში, როდესაც კოლომინმა თავი მიანებათ. ტირილით სთქვა, შიმშილმა ისე დაგვტანჯა, რომ ბალახსა და მიწასა ვჭამდითო. შემდეგ სამი კვირა ქალაქში ერთ შიშსა და კანკალში ვიყავი, მეშინოდა, არავის გავეგო ჩვენი დანაშაული. ბოლოს, დიდის დარიგებით, წავედი და გამოვტყდიო.

არც მესამე ბრალდებულმა სთქვა რამ ახალი მკვლელობაზე. იმანაც ტირილით გადასცა მოსამართლეებს შიმშილის და წვალების ამბავი.

ამის შემდეგ ჩერნიკოვის დამცველმა მოითხოვა ექიმებს შეემოწმებინათ, ჩერნიკოვი სრულ ჭკუაზეა თუ არა. სასამართლომ შეიწყნარა ეს თხოვნა და საქმის განრჩევა მეორე დღისათვის გადასდო.

წვრილი ამბები

ამერიკა და ევროპა. ინგლისსა, გერმანიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში დიდი შიში აქვთ ამერიკისა. შეერთებულმა შტატებმა ლამის სრულიად შთანთქან ევროპაო, გაიძახიან ევროპიელი ბურჟუები და მთავრობას იწვევენ დასაცველ ღონისძიებათა მისაღებად. მართლაც, შეერთებული შტატები განსაცვიფრებელის სისწრაფით მიდიან წინ და შესამჩნევად უსწრობენ ევროპას წინ.

ამერიკამ არ იცის რა არის შიმშილობაო, სწერს ერთი გამომკვლეველი; მას ხალხი ეპირვება და დიდძალ ემიგრანტებს იღებს ევროპიდან; ყველა შოულობს სამუშაოს და კარგ ჯილდოს იღებს. ამის მიზეზია—შტატების მრეწველობის შესანიშნავი განვითარება. 1800 წელს შტატებში სცხოვრებდა მხოლოდ 5 მილ. 308 ათასი კაცი, 1900 წელს-კი 75 მილ. 620 ათასი, ესე იგი, მცხოვრებთა რიცხვმა 15-ჯერ იმატა; ამავე დროს ინგლისში მცხოვრებთა რიცხვმა იმატა მხოლოდ $2^{1}/_{2}$-ჯერ, ევროპის სხვა ქვეყნებში კიდევ უფრო ნაკლებად. ამერიკამ გაუსწრო ევროპას რკინის გზების აშენების საქმეშიაც: მას რამდენჯერმე მეტი ვერსი გზა აქვს; ხოლო საქონლის მატარებლები ამერიკაში უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის საქონლის მატარებლები ერთად რომ ვი-

---

ხატული ტიპები, რასაკვირველია, არიან (გულ ახდილობა სჯობიან), მაგრამ ნახევარი მაინც გამოვა ქართველ სტუდენტებში მშრომელი და საქმის მუყაითი. ხოლო თუ ახლა მოქეიფე სტუდენტები უწინდელზე მეტი გვეჩვენება, ეს, ჩემის აზრით, იმით აიხსნება, რომ ეხლა რიცხვითაც გაცილებით მეტია ქართველი სტუდენტები და ბევრში, მოგეხსენებათ, ცუდიც ბევრი გამოვა და კარგიც.

ახლანდელი ქართველები სხვა სტუდენტებს ჩამორჩენო, გვეუბნება ბ. სიტყვას კარგი ნაცნობი. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩემმა პირადმა დაკვირვებამ დამანახვა, რომ ქართველები მაინცა და მაინც ბევრით არ ჩამორჩებიან სხვა რუსეთელ სტუდენტებს და ზოგიერთ საქმეში მეთაურობენ კიდეც. მხოლოდ თუ რუს-სტუდენტებში მეტი გამოდის მომზადებული, ისინი ხომ რიცხვითაც ბევრად მეტნი არიან.

დასასრულ, მკითხველო, ნუ შემწამებთ, ვითომ ვცდილობდე ქართველ სტუდენტობის ნაკლის დაფარვას. ღმერთმა მაშოროს! როგორც მოგახსენეთ, მე მომწონს თქმულება: „მოყვარეს პირში უძრახეო“, მხოლოდ გადაჭარბებული არა ვარგა-რა. ბ-ნ სიტყვას ნაცნობის შენიშვნა მოყვრული პირში მხილებაა და სიმართლეც ბევრი ურევია, მხოლოდ გადაჭარბებული კია.

ბასილ

ქ. დორპატი.

II

წავიკითხე ბ-ნ სიტყვას მიერ მოყვანილი იმის ერთის ნაცნობის წერილი ქართველ სტუდენტთა შესახებ. ამ წერილმა ჩემზე არა სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია, რადგან იგი, ცოტა არ იყოს, მოკლებულია სიმართლეს და საბუთს აძლევს უიმისოდაც უიმედობაში მყოფ ჩვენ საზოგადოებას ეჭვის თვალით შეხედოს ქართველ სტუდენტობას. როდესაც მიუდგომლად შეეხებიან რომელისამე მოღვაწის ანუ საზოგადოების ჯგუფის მოქმედებას და საბუთიანად გაჰკიცხავენ იმას, მაშინ ამ გვარ გაკიცხვას მოაქვს კიდევაც სარგებლობა; მაგრამ უსამართლობაა და ამასთან საშიშიც, როდესაც მარტო გაგონებით, ანუ ერთის შთაბეჭდილებით, როგორც, მაგ., ბ-ნ სიტყვას ნაცნობის წერილიდანა სჩანს, ეხებით ადამიანის ყოფა-ცხოვრებას, იმის საზოგადოებრივ მოქმედებას და საქვეყნოდ ჰკიცხავთ! ამ შემთხვევაში თქვენის მოწყალებით საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს იმის ზნეობას, იმის ცოდნას და აღარა სწამსრა მისი.

აი, სწორედ ამ გვარი სამსახური გაუწია ბ-ნ სიტყვას ნაცნობმა თავის წერილით, როდესაც გაჰკიცხა საერთოდ ქართველი სტუდენტობა, ის ჯგუფი, რომელიც მეცადინეობს, სცდილობს შეიძინოს მეცნიერული ცოდნა, ყურადღებით ადევნებს თვალს ყოველ ახალ მიმართულებას მეცნიერებასა და ლიტერატურაში, უკვირდება საზოგადოებრივ ცხოვრებას, იმის მიმართულებას და ამ გვარად სცდილობს განიმტკიცოს განსაზღვრული შეხედულება, იდეალი, რომ, როდესაც დაბრუნდება თავის ქვეყანაში, მომზადებული შეუდგეს საზოგადოებრივ საქმეს. შეიძლება, მაგ., ათ სტუდენტში ოთხი ან ნახევარიც ისე არ იქცეოდეს, როგორც ზემოდ ვსთქვით, შეიძლება ეს ნაწილი სცდილობდეს უნივერსიტეტის გათავებას მარტო იმისათვის, რომ მიიღოს „დიპლომი“ და დაიჭიროს თბილი ადგილი, ხოლო ვიდრე გაათავებს, მშვენივრად გამოწკეპილ-გამოწყობილი ატარებს დროს ქაღალდის თამაშობასა, საღამოებსა და ბალებში; მაგრამ რუსებისა არ იყოს,— არ არის ისეთი ოჯახი, სადაც მახინჯი არ მოიპოვებოდეს. მახინჯები წინადაც იყვნენ, ეხლაც არიან და იქმნებიან კიდეც. ნუ თუ ამ ვაჟბატონების ყოფა-ცხოვრებით გულ-მოსულთ უფლება გაქვთ საქმის უცოდინარობა უკიჟინოთ საერთოდ ქართველ სტუდენტობას და ჩირქი მოსცხოთ იმ მუშაკთ, რომელნიც ზემოდ აღვნიშნე?

არ შემიძლიან აქვე არ მივაქციო მკითხველის ყურადღება ძველ სტუდენტთა ერთ ნაკლულევანებას: როდესაც ჩამოვარდება ლაპარაკი სტუდენტების ცხოვრებაზე, ძველი სტუდენტები უსათუოდ დიდის მოწიწებითა და პატივის ცემით მოიგონებენ თავიანთ დროს, ხოლო ახალ სტუდენტობას განუკითხავად ჰკიცხავენ. ჩვენ ყოველთვის დიდის პატივისცემით ვიგონებთ ძველ, ნამეტნავად მე-60 და 70 წლების სტუდენტებს, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, მაშინაც იყვნენ არა სასურველი ტიპები. ამასთან მხედველობაში უნდა მიიღოს კაცმა უნივერსიტეტის ცხოვრების პირობანი, მაშინდელი და ეხლანდელი, იმ დროის წესდება და ეხლანდელი (1884 წლისა) და ადვილად დარწმუნდებით, რომ თანამედროვე სტუდენტობა შევიწროვებულ პირობებში იმყოფება. სად არიან ეხლა გამოჩენილი პროფესორები, იმ აზრთა და საზოგადოებრივ იდეების მოძრაობა, რომელიც იყო მე-60 და 70 წლებში? მაშინ თვით მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა სკოლა იყო. (მე-80 ღ მე-90 წლების პირველ ნახევრის სტუდენტობაზე ხომ, ჩემის აზრით, არა ითქმის-რა და არც იმათ ეთქმით რამ!).

მიუხედავად ყველა ამისა, ვიმეორებ, ერთი ნაწილი ეხლანდელ ქართველ სტუდენტობისა ბეჯითად მეცადინეობს. რაც არ ესმის და რასაც ვერ შეიძენს უნივერსიტეტში, იმის შეძენასა და შევსებას სცდილობს გარედ. მე თვით სტუდენტი ვარ კიევის უნივერსიტეტისა, ვიცნობ კარგად ქართველ სტუდენტთა ცხოვრებას და იმიტომ ვამბობ ყველა ამას. შემეძლო ფაქტებით დამემტკიცებინა ყველა ის, რაც ზემოდ გამოვთქვი, მაგრამ ეს საჭიროდ არ მიმაჩნია და, ამას გარდა, ბევრი რამის თქმა არც შეიძლება.

დასასრულ ვიტყვი შემდეგს. როდესაც გსურთ შეეხოთ მოღვაწის ან საზოგადოების ჯგუფის ყოფა-ცხოვრების რომელსამე მხარეს, საჭიროა კარგად დაუკვირდეთ, გაიცნოთ მათი მოქმედება, შინაგანი ცხოვრება, გაითვალისწინოთ თვით საგანი, და, თუ აღმოაჩენთ ნაკლულევანებას, მხოლოდ მაშინ გამოაქვეყნოთ იგი.

კონ. ანდრონიკაშვილი.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2088.

ანგარიშოთ. სატელეგრაფო მავთულის სიგრძე შტატებისა 30 პროცენტს შეადგენს მთელის მსოფლიოს სიგრძისას. მთელს ქვეყანაში 1900 წელს მოიყვანეს 2586 მილ. ბუშელი პური, აქედან მარტო შტატებში მოსულა 522 მილ. ბუშელი. ქვა-ნახშირი, სპილენძი, თუჯი, ფოლადი, ოქრო და ვერცხლი ამერიკაში უფრო მეტი ამოაქვთ მიწიდან, ვინმე ევროპის რომელსამე სახელმწიფოში. სულ შტატების ნაწარმოებთა ღირებულება უდრის 26.080 მილიონ მანეთს, მუშათა რიცხვი 6 მილიონამდეა. ამერიკის სამანუფაქტურო წარმოება შეადგენს 37,6%-ს მთელის მსოფლიოს წარმოებისას. ჭამა-სმა ამერიკელისა გაცილებით სჯობია ევროპიელის ჭამა-სმას; შტატების მცხოვრებნი თვითონ იტოვებენ თავის საჭიროებისათვის პურის მთელის შემოსავლის 17%-ს, შვრიისას—25 პროც., ყავისას—46 პროც., ჩაისას—19 პროც. და შაქრისას—25 პროც. არა მარტო ნივთიერად გაუსწრეს შტატებმა ევროპას, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაშიაც ასეთივე საარაკოა მათი ზრდა. 1900 წლის ცნობებით, შტატების პირველ-დაწყებითსა და საშუალო სკოლებში ირიცხებოდა 1 მილ. 534 ათასი ბავშვი; მაშინ როდესაც რუსეთში ყოველ ათას სულზე 21 მოსწავლე მოდის, შტატებში იმავე ათას სულზე 230 მოსწავლეა. მასწავლებელთა რიცხვი მთელს მხედრობას შეადგენს: სულ 421 ათასი კაცია! მათი შენახვა სახელმწიფოს 272 მილ. მანეთი უჯდება. უმაღლესს განათლებაზე გერმანია ჰხარჯავს, თითო მცხოვრებზე რომ ვიანგარიშოთ, 14 ცენტს, საფრანგეთი—11 ც., რუსეთი—4 ც., იტალია—7 ც., შტატები-კი ჰხარჯავენ 22 ცენტს, 1900 წელს შტატებში გამოდიოდა 40 პროც. ყველა გაზეთებისა, რომელნიც მთელ დედა-მიწის ზურგზე გამოდიან (რუსეთში მხოლოდ 1½ პროც.); ამას უნდა დავსძინოთ, რომ შტატების ბევრი გაზეთი რამდენიმე მილიონი ცალი სალდება ყოველ-დღე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი.

ბელგრადი. მონასტირიდან და უსკიუბიდან იუწყებიან, რომ ბოლგარელთა რაზმებს რამდენსამე სოფელზე ძალდატანებით გაუწერიათ გადასახადის გამოღება 2-დან 100 ფრანკამდე.

ბერლინი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს ბელგრადიდან ატყობინებენ, რომ სამინისტრო შეიცვლება: ან რადიკალი მინისტრები გავლენ სამინისტროდან, ან არა—მთელი სამინისტრო გადადგება.

კონსტანტინეპოლი. ინგლისის ძალ-დატანებით, მინისტრთა საბჭომ განიხილა ადენს იქითა მდებარე ადგილების განსაზღვრის საქმე და ინგლისის მოთხოვნილებათათვის სასარგებლო აზრი გამოსთქვა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. რედმონდი ჰკითხულობს: გამოუცხადა თუ არა რუსეთმა ოსმალეთის მთავრობას პროტესტი იმის გამო, რომ მაკედონიის ჟანდარმერიაში ცვლილების შემოღებისათვის განსაკუთრებით გერმანელთა ოფიცრები არიან მოწვეულნი და დაეკითხება თუ არა ამის შესახებ ინგლისის მთავრობა ოსმალეთისას? კრანბორნმა განმარტა: რუსეთის მთავრობა სავსებით დარწმუნებულია, მაკედონიის ჟანდარმერიაში ცვლილებათა შემოღებისათვის უცხოეთის ოფიცრების მოწვევა სასარგებლო იქნება, მაგრამ იმ პირობით-კი, არც ერთ უმთავრესს სახელმწიფოსაგან არ იყვნენ ისინი გამოწვეულნი. შეკითხვის მეორე ნაწილზე კრანბორნმა უარი უთხრა.

ათინა. ოსმალეთის განსაკუთრებულმა ელჩებმა მეფეს მიართვეს საკუთრად სულთანის მიწერილი წერილი, რომლითაც თავისს გულითადს თანაგრძნობას უცხადებს საბერძნეთის სამეფო გვარეულობასა და ხალხს.

დრეზდენი. გერმანიის იმპერატორი ბერლინს წავიდა. მეფემ, კრონპრინცმა და პრინცმა იოჰან-გეორგიმ იმპერატორი ვოკზალამდე მიაცილეს. საღამოს მეფე სამხრეთისაკენ გაემგზავრა.

ქაირი. გერმანიის კრონპრინცი გვარიანად ჰგრძნობს თავისს თავს ლუქსორში.

დრეზდენი. სადღესასწაულო სადილზე სასახლეში საქსონიის მეფემ სადღეგრძელო მიართვა გერმანიის იმპერატორისა, რომელმაც სამაგიერო სადღეგრძელო მეფისა წარმოსთქვა.

ათინა. ოსმალეთის ელჩებმა მიართვეს მეფეს ორდენი „ნიშან-იფთიკარ“ ბრილიანტებით, მემკვიდრე პრინცს—ორდენი „იმთიაზ“-ისა და ძვირფასი საჩუქარი სულთანისაგან.

— მეფე-დედოფალი 15 მარტს კოპენჰაგენს გაემგზავრებიან.

კონსტანტინეპოლი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება: მაკედონიაში ჟანდარმერიის შემოღების დროს წესად დაიდება, იმ ადგილებში, სადაც ქრისტიანები უფრო მეტი იქნებიან, ჟანდარმებსაც ქრისტიანთა სხვა სარწმუნოებისა და სხვა ხალხისას დაჰნიშნავენ.

მადრიდი. გაზეთ „ჰერალდო“-ს ტანჟერიდან ატყობინებენ: აჯანყება სულ უფრო და უფრო ძლიერდება; ასე რომ სულთანს გაუჭირდება ამისი დაძლევა. შესაძლებელია, ტახტის მაძიებელი თვითონ ახლად დაიწყებს ჯარების მიხვევას.

ვაშინგტონი. 73-ის ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 5-ისა, სენატმა დაამტკიცა პანამის არხის შესახებ ხელ-შეკრულობა.

პეტერბურგი. დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა პატრიოტულ საზოგადოების ქალთა სამი სკოლა, იმპერატორის ალექსანდრე მე-II სახელობის სახელოსნო და გასიდევის მეორე სკოლები.

5 მარტს ტირტოვის პანაშვიდს დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავარნი ალექსი ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე, ალექსანდრე მიხეილის ძე და მრავალნი წარჩინებულნი.

პეკინი. სახელმწიფოთა წარმომადგენელთ თათბირი ჰქონდათ ჩინეთის მთავრობის ნოტის გამო, რომლითაც ჩინეთის მთავრობამ უარ-ჰყო ოსმიანობის ხარჯების ანგარიშში ხვედრის გარდასახადის შემოტანა მანამდე, სანამ წარმომადგენელნი თავიანთ სახელმწიფოებს არ წარუდგენენ გადასაწყვეტად ბაჟების ოქროთი შემოტანას. წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილი იმას ამტკიცებს, რომ ჯერ სამხედრო გარდასახადები შემოიტანოს ჩინეთმა და მერე ბაჟებზე ვილაპარაკოთო. საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენელთ გამოაცხადეს, თანახმანი ვართ ბაჟის ოქროთი შემოტანის შესახებ ჩინეთის მოთხოვნილება მივიღოთო.

ლონდონი. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება: როგორც მონტევიდეოდან*) ამერიკის კონსული იუწყება, 8 ათასი კაცი აუჯანყდა მთავრობას. მონტევიდეოს გარეშემოც მდგომარეობა ძლიერდება. მონტევიდეოში მყოფმა ამერიკის გემებმა ბრძანება მიიღეს, ამერიკის ინტერესები დაიცვეთო.

ბუენოს-აირესი. მონტევიდეოდან ჯარები გაჰგზავნეს იმ ადგილებში, სადაც აჯანყება მოხდა. დღეს გემი მიდის როკას.

6 მარტი.

ბერლინი. „კელნ. ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ბელგრადიდან, რომ ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ვენელი პროფესორი იაგიჩი ამოშალეს სერბიის სამეცნიერო აკადემიის სიიდან. მიზეზი პროფესორის მიერ დაწერილი წერილი იყო, რომელმაც სერბიაში უკმაყოფილება გამოიწვია.

ვილნა. გაიარა დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა. მატარებელი გაჩერდა დინაბურგში, სადაც იმპერატრიცას წარუდგნენ გენერალ-გუბერნატორი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი და გუბერნატორი გრაფი პალენი.

ლოძი. გამათი დასრულდა. მოეწონა ხალხს დამცველთა—ვლადიმიროვისა, კედრინისა და ეტინგერის სიტყვები. განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია გრუზენბერგის მეორე მშვენიერმა სიტყვამ. განაჩენს ხვალ გამოაცხადებენ.

ასხაბადი. რადგანაც საშიში აღარ იყო, გააუქმეს ხაკენდის გოლოსტის საკვები ადგილი, საიდანაც შემწეობას ჰწევდნენ მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთ.

გუზინზევიჩის გამოფენა ტაშკენტსა და ასხაბადში მოეწონათ. ყველა სურათი გაიყიდა.

ტემრიუკი. სავაჭრო ნაოსნობის მთავარმა გამგეობამ აცნობა ქალაქს, რომ 400,000 მანეთს, რომელსაც ტემრიუკის ქალაქის გამგეობა თხოულობდა არხის გასაყვანად აზოვის ზღვიდან ტემრიუკამდე, ხაზინა გადასდებს 1904 წლისა.

რიაზანი. დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა შინა-მრეწველთა და ხელოსნთათვის.

პეტერბურგი. აეკრძალულ იქმნა სამის თვის განმავლობაში „კიევსკოე სლოვოს“ ცალკე ნომრების გაყიდვა.

---

*) სამხრეთ ამერიკაში ურაგვაის რესპუბლიკის დედა ქალაქია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

სამგზავრო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ყვირილის თეატრის

ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოჰხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეატრის შენობის გაკეთებ მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა, მასალა ამხანაგობას იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ქიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ტეხნიკოსი

ზიგო თოიძე

იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწდომ პირობით. ტფილისი, ჩუღურეთი, გონჩარნი ქუჩა 28.

(10—6—4)

ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ანგარიშის მდგომარეობა *)

პირველ თებერვლამდე 1903 წლისა.

აქტივი.

	მანეთი	კაპ.
I. კასსა	4648	26
II. განაღდებული ვექსილები	71650	—
III. სესხი — სარგებლიან ქაღალდების გირაოთი	7450	—
III. სესხი — ძვირფას ნივთების გირაოთი	80	—
IV. კორესპონდენტები — ჩვენის ანგარიშით	2661	54
IV. კორესპონდენტები — მათის ანგარიშით	4744	31
V. ხარჯები — მიმდინარე	360	12
V. ხარჯები — დასაბრუნებელი	89	50
VI. მოწყობა	1099	20
ბალანსი	92782	93

ვალდებულება 233 წევრისა . . 216.700

საკომისიო ვექსილები . . . . 7312—92

საზოგადოება აძლევს მობარებულ ფულში მიმდინარე ანგარიშით . . . 3%

6 თვით . . . 6%

12 თვით . . . 7%

2 წლით . . . 8%

პასსივი.

	მანეთი	კაპ.
I. თანხა, რომელიც შესდგა საწევროდ შემოტანილ ფულისაგან	21670	—
II. სათადარიგო თანხა	194	82
III. საქველმოქმედო თანხა	20	90
IV. ხონში სახელოსნო სწავლის გასავრცელებელი თანხა	185	82
V. მობარებული ფული — ვადით	30966	—
V. მობარებული ფული — უვადოთ	16342	40
VI. სპეციალური მიმდინარე ანგარიში ტფილისის საკომერციო ბანკში	93	35
VII. კორრესპონდენტები — ჩვენის ანგარიშით	7820	—
VII. კორრესპონდენტები — მათის ანგარიშით	4237	75
VIII. გასაგზავნად შემოსული ფული	2900	—
IX. გაუტანელი მოგება წარსულ წლებისა	89	75
X. გადასატანი თანხა	1102	75
XI მობარებულ ფულის სარგებელი	1294	18
XII 5% სახაზინო გადასახადი	169	48
XIII შემოსული სარგებელი	3012	64
XIV. წმინდა მოგება 1902 წლისა	2683	09
ბალანსი	92782	93

საზოგადოება ახდევინებს:

ვექს-ლების განაღდებაში 12%

გირაოში — სარგებლიან ქაღალდებისა 10%

გირაოში — საქონლისა 12%

---

*) რადგან ბალანსში შეცდომები შეგვეპარა, ვბეჭდავთ გასწორებულს ბალანს ხელმეორედ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 6 Марта, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)